კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ვარიანში„

25 აპრილს, 12:00 საათზე, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ვარიანის იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის ორგანიზებით ვარიანში გაიმართება ფოტოგამოფენა სახელწოდებით „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ვარიანში„.

გამოიფინება 20 ფოტო, რომლებიც მომზადებულია იაკობ გოგებაშვილის პირადი არქივიდან უმნიშვნელოვანესი მასალის საფუძველზე: ნოე ჟორდანიას სამადლობელი წერილი იაკობ გოგებაშვილს, დედა ენის შავი ნაწერები, უბის წიგნაკი საყმაწვილო ლექსებით, რომელიც აკაკი წერეთლის ნასწორებია და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ასევე საინფორმაციო ბანერები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის აქივში დაცულ ინფრომაციას შეიცავს: ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, შემოქმედების, პირადი მიმოწერის ამსახველ ტექსტებს.

ვარიანის მუზეუმში შედგება სალექციო შეხვედრა, რომლის მიზანია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და მუზეუმის თანამშრომლებმა გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება ორი მიმართულებით: კოლექციების მართვა და კოლექციის საფუძველზე საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტების მომზადება. აღნიშნულ სალექციო შეხვედრებს გაუძღვება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების სამსახურის ხელმძღვანელი ნესტან ბაგაური (თემა - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციები და საგანმანათლებლო აქტივობები“).

აღსაღნიშნავია, რომ გამოფენისათვის მომზადებულ საგამოფენო მასალას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საჩუქრად გადასცემს ვარიანის სახლ-მუზეუმს.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628